პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 29 ნოემბერი 1978 წ. № 278 (17322) ფასი 2 კაპ.

ხალხის რჩეულნი

მოსკოვში კვლავ ჩამოდიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომელიც 29 ნოემბერს იხსნება: სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი პოეტი ა. ა. სურკოვი ესაუბრება ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათაშენებელი ქარხნის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირს მ. ო. ღოღობერიძეს და მაიოპელ მხეიძეს ტ. კ. გენიევსკაიას.

სპეციალ-საქინფორმის ტელეფოტო.

სწორი, ლენინური გზით!

საქართველოს მშრომელები გულმხურვალედ უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის დებულებებსა და დასკვნებს

გვრაზმავს, გვასწავლის

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან გამოსვლაში, სხვა საკირბოროტო საკითხებთან ერთად დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომის სწორი ორგანიზაციის საკითხებს ხუთწლედით დასახული ამოცანების დროულად გადაწყვეტის საქმეში.

ჩვენმა მშენებლებმა და მეშინტაჟეებმა გათვალისწინეს რა მათ წინაშე დასახული ამოცანის ფაზის ადრე გადაწყვეტის დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, დროულად უზრუნველყვეს მიმდინარე წლის გეგმა-ნაგულისხმევების შესრულება კონსტიტუციის მიღების წლისთავისათვის. სწორედ ამ წარმატებებმა უზრუნველყო პირველი პიროვნებიერეგატის 6 ნოემბრისათვის ამოქმედება.

ამ შედეგს ჩვენ სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაციით, შესრულების შემოწმებისადმი ყოველდღიური კონტროლით მივაღწიეთ.

შეჯიბრების შედეგიანობის გაზრდის შესრულების შემოწმების ახლებურად მოწყობის საქმეში ჩვენ დიდ დახმარებას გაგვიწევს პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, სადაც თვალნათლივ არის მოცემული თითოეული კოლექტივის, თითოეული მშრომელის სამოქმედო პროგრამა. ჩვენი აგიტატორები და პოლიტინფორმატორები გაიღებენ უმუალოდ მშენებლობის პოლიგონებზე, სადაც დამკვრელური წლის ბეღი წყდება და გულდასმით აცნობენ მშრომელებს ამ დიდ პარტიულ დოკუმენტებს, მასში მოცემულ დებულებებსა და დასკვნებს. პარტიული ბიურო ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით სახაეს ღონისძიებებს კოლექტივის, თითოეული წევრის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

კ. კვირკველია,
ენგურჰესის მშენებლობის კაშხალმშენის სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ქარხნებსა და ფაბრიკებში, ყანებსა და პლანტაციებში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს. სურათზე: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მეორე საამწყობო საამქროს მუშათა ჯგუფი მსჯელობს პლენუმის მასალებზე.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

ჩვენი სპეციალური მოვალეობა

საინფორმაციო ცნობამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვამოსვლამ უდიდესი სიხარული მოუტანა მთელ საბჭოთა ხალხს, კერძოდ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, შეაჯამა რა მეათე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე მოპოვებული საამაყო და განსაცვიფრებელი წარმატებანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა სფეროში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, ყველას, ვისი თავდადებული შრომაც უდევს საფუძვლად მიღწეულ წარმატებებს.

მეათე ხუთწლედის განვლილი სამი წელი პეშმარიტად კარგი წლები იყო. ამ წლებში ბევრი რამ გაკეთა ჩვენმა ქვეყანამ, ბევრი რამ უკეთესობისაკენ შეიცვალა. საბჭოთა ხალხი, პარტია ცხოვრობენ დაძაბული, მჩქეფარე ცხოვრებით, ბეჯითად და გულმოდგინედ მუშაობენ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შესრულებისათვის. ყველგან, ყოველ უბანზე ნათლად ჩანს და ზეთლად იგრძნობა თავიანთ ძალებში, ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის სისწორეში მოლინობით ადამიანის უდიდესი რწმენა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში განსაკუთრებული უყურადღება აქვს დათმობილი იდეოლოგიურ ფრონტს, იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. უკანასკნელ წლებში ეს მუშაობა ახალ, უფრო მაღალ დონეზე დადგა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, „აქ, ისევე როგორც ყოველ საქმეში, მოთხოვნები იზრდება, ამოცანები რთულდება, და მიღწეული დონე უკვე აღარ არის საკმარისი, ხოლო ხარვეზებმა და ჩამორჩენამ იდეოლოგიურ მუშაობაში შეიძლება დიდი ზიანი მოგვაყენოს“.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სამართლიანად მიუთითებს ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის, რადიოსა და ტელევიზიის, მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე. იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკმა, ყველა მწერალმა და ჟურნალისტმა, თეატრის, კინოს და ტელევიზიის ყველა მოღვაწემ თავისი მუშაობა ამიერიდან უნდა წარმართოს ნოემბრის პლენუმის მიერ ნაჩვენები მიმართულებით.

ის ფაქტი, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ შექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც იდეოლოგიური მუშაობის ყველა საკითხი უნდა განიხილოს და დასახოს იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, თავისთავად მეტყველებს ამაზე, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევს პარტია იდეოლოგიურ ფრონტს და რაოდენ იზრდება ამ ფრონტის მუშაკთა პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე.

„ჩვენ ფართო ფრონტით მივიწევთ წინ. ქვეყანა პირდაპირ ჩვენს თვალწინ იზრდება. უზარმაზარია ჩვენი მიღწევების მასშტაბი. მაგრამ პრობლემებიც საკმარისად გვაქვს. ჩვენ ვიცით ეს პრობლემები, ნიადაგ ვმუშაობთ მათი გადაჭრისათვის და აუცილებლადაც გადაეჭრიან“, — ამ შესანიშნავი სიტყვებით ამთავრებს ამხანაგი ბრეჟნევი თავის ისტორიულ გამოსვლას ნოემბრის პლენუმზე, რომლის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბრძოლა ყოველი ჩვენგანის საპატიო მოვალეობაა.

გიორგი ნაბროშვილი.

გამარჯვებულთა შორის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ კიდევ უფრო განგაშტკიცა იმის რწმენა, რომ დღითი დღე მდიდრდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრება როგორც მატერიალური, ისე სულიერი თვალსაზრისით.

სიამაყის გრძნობით აღვიქვეთ პლენუმზე ნათქვამი სიტყვები იმის შესახებ, რომ ძნელი ბრძოლა 1978 წლის მოსავლისათვის მოგებულია. გამარჯვებულთა შორის ვართ არცეული კოლმეურნეებიც. ჩვენმა კოლმეურნეობამ წლეულს უამინდობის მიუხედავად შაქრის ჭარხლის რეკორდული მოსავალი მოიწია. ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ჰექტარზე საშუალოდ 500 ცენტნერზე მეტი შაქრის ჭარხალი მიიღო, ვალდებულება კი 414 ცენტნერს ითვალისწინებდა.

როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პლენუმზე აღნიშნა, წარჩინებები უფრო მნიშვნელოვანი გვექნებოდა, რომ თითოეული ჩვენგანი მეტი პასუხისმგებლობით იბრძოდეს დანაკარგების წინააღმდეგ. ამით კი მნიშვნელოვნად აკამაღლებდით წარმოების საბოლოო შედეგებს.

ხუთწლედის მეოთხე წელს კიდევ უფრო უნარიანად გამოვიყენებთ შრომითი წარმატებების გამოვლენის ისეთ ნაკად ბერკეტს, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება.

ჰ. გოიანევი,
ცხინვალის რაიონის არცევის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარეს ამხანაგ

იოსიპ ბროზ ტიტოს

ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის დღის — გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ კომუნისტთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმს, მთელ იუგოსლავ ხალხს.

საბჭოთა ადამიანები ძმური ინტერნაციონალიზმის გრძნობით აღნიშნავენ წარმატებებს, რომლებიც იუგოსლავიამ მშრომელებმა მოიპოვეს სოციალისტურ გარდაქმნაში. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხთა ძირეულ ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება იმ პრინციპებისა და მორიგებების საფუძველზე, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის უმაღლესი დონის შეხვედრების შედეგად მიღებული ერთობლივი დოკუმენტები.

იუგოსლავიის ხალხებისათვის ამ ღირსშესანიშნავ დღეს იუგოსლავიის კომუნისტებს, ყველა მშრომელს ვუსურვებ ახალი წარმატებანი მოეპოვებინოთ სოციალიზმის მშენებლობაში, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის XI ყრილობის მიერ დასახული იმ ამოცანების შესრულებაში, რომ ამაღლდეს მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტთა კავშირის როლი ქვეყნის ცხოვრებაში ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ლ. ბრეჟნევი

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარეს ამხანაგ

ვესელინ ჯურანოვიჩს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ, ამხანაგო თავმჯდომარე, საკავშირო აღმასრულებელ ვეჩის იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს, — რესპუბლიკის დღეს.

ჩვენს ქვეყანაში კარგად არის ცნობილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები სოციალიზმის მშენებლობაში, და ჩვენ სულითა და გულით ვუსურვებთ ახალ წარმატებებს იუგოსლავიის ხალხებს.

ისარგებლობ შემთხვევით და გამოთქვამ რწმენას, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობა და ხელსაყრელი თანამშრომლობა ყოველნაირად განვითარდება მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებისათვის.

ა. კოსიგინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

28 ნოემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელშიც განიხილა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის მოწყობის საკითხები.

პრეზიდიუმის წევრებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გამო. ხაზგასმით აღინიშნა, რომ პრეზიდიუმი თავის საქმიანობას საფუძვლად დაუდებს დასკვნებსა და დებულებებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაშია ჩამოყალიბებული.

გამოთქვა რწმენა, რომ პლენუმის გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული განხორციელება, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა რეალიზაციის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დასახული პროგრამის განხორციელების გზაზე.

პრეზიდიუმმა განიხილა წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

განხილულ იქნა საკითხი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის, და 1978 წლის გეგმის შესრულების სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1977 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარი განხილვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატებს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების მუშაობის დამთავრების შესახებ. როგორც სხდომაზე აღინიშნა, მომავალი სესიის თავისებურება ის არის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად დეპუტატების განსახილველად, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმასთან ერთად, — შეტანილია 1978 წლის გეგმის შესრულების საკითხები.

პრეზიდიუმის დღის წესრიგში საკითხები სსრ კავშირის მოქალაქეობის თაობაზე სსრ კავშირის კანონის პროექტის შესახებ და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის შესახებ. მიღებულია გადაწყვეტილება მოქალაქეობის კანონის პროექტი პრეზიდიუმის სახელით იქნეს შეტანილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად; შექმნილია პრეზიდიუმის კომისია, რომელიც მოამზადებს სსრ კავშირის ორდენების, მედლებისა და სპატიო წოდებების შესახებ ზოგადი დებულების პროექტს.

განხილულია საკითხი, რომ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სიდამო და სასოფლო საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს სსრ კავშირის კონსტიტუციიდან გამომდინარე ცვლილებანი და დამატებები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლება-მოვალეობათა საკანონმდებლო აქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგების სახელმძღვანელოდ ტერიტორიების კომპლექსური განვითარების, ზემდგომი დაქვემდებარების საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციის. მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი კონტროლის უზრუნველსაყოფად საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი ბრძანებანი.

განხილულია სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგის საკითხების გამო სხდომაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ჰ. ფიორგაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გ. ი. ვაშჩენკო, ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის მდივანი ვ. ი. პროხოროვი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ლ. ნ. სმირნოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო.

საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, ნ. ვ. რომანოვი, ჯ. ვ. შჩერბიცკი, პ. მ. მაშეროვი, შ. რ. რაშიდოვი, ა. თ. ვატენკო და პრეზიდიუმის სხვა წევრები. (საკვლევი).

ბუნების დაცვა თითოეულის მოქალაქეობრივი ვალია

რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

24-25 ნოემბერს თბილისში მიმდინარეობდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსური პრობლემებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ამხ. ე. ა. შევარდნაძის შესავალი სიტყვა

პატივცემულო ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისში მუშაობას ფუძეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსური პრობლემებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური საეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ასეთი ფორუმის მნიშვნელობა ძნელია გადაკარბებით შეფასდეს დემოგრაფიული აფეთქებისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, ინდუსტრიის უმაგალითო განვითარებისა და ურბანიზაციის პროცესის პერიოდში.

ჩვენს ქვეყანაში, მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული ერთიანობა ემყარება მეცნიერულ საფუძველს, ახლა განსაკუთრებით საჭიროა ცხოვრების გარემოს დაცვის მეცნიერულად დასაბუთებული პრობლემის შეფასება და განხორციელება. პრაქტიკოსი მუშაკებისა და მთელი ხალხის შეიარაღება ამ დარგის მეცნიერული რეკომენდაციებით.

გარემო ისტორიული სარბიელია, სადაც ვითარდება ისტორიის შემოქმედი ხალხის მასების სოციალური აღმშენებლობითი საქმიანობა, ერებისა და ეროვნებების, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე საზოგადოების თითოეული წევრის, თითოეული საბჭოთა ადამიანის, შესანიშნავი თანამედროვეობისა და კიდევ უფრო შესანიშნავი მომავლის მშენებლის შემოქმედებითი საქმიანობა. სწორედ ამიტომაც არის, რომ ჩვენ გულგრილად ვერ მოვეკიდებით ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის რთული დიალექტიკის ბედს, თანამედროვე მდგომარეობასა და პერსპექტივას.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბუნების დაცვის პოლიტიკა — ეს არის თვით ადამიანის — ბუნების გვირგვინის დაცვის პოლიტიკა.

გარემოს დაცვა განუყოფელი რგოლია იმ სისტემებისა და პროგრამების დიალექტიკურ ჯაჭვში, რომლებიც ქვეყანაში ხორციელდება იმისათვის, რომ გატარდეს „პარტიის ლოზუნგი — „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის!“.

ადამიანის ცხოვრებისა და ეკოცხალი ბუნების, ეკოცხალი მატერიის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანპირობებულობის ფაქტორმა ბუნებისა და ცხოვრების გარემოს დაცვისათვის ბრძოლა უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად გადააქცია.

ეს საკითხი მსოფლიო, გლობალური, ყოვლისმომცველი საკითხია.

ჩვენ, კომუნისტებს, სრული შესაძლებლობანი გვაქვს და მსოფლიოს კიდეც უნდა ვუჩვენოთ ჩვენი სისტემის ყველა უპირატესობა, მისი მაღალი ეფექტიანობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საქმეში. ამას მოითხოვენ ჩვენგან სკკპ XXV ყრილობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, სსრ კავშირის კონსტიტუცია.

რა უპირატესობანი გვაქვს მხედველობაში? უწინარეს ყოვლისა ეს არის გვვმიანი, პროპორციულად, დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკა, ეს არის ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ყველა ერისა და ეროვნების, კლასისა და სოციალური ჯგუფის ინტერესების ერთობა, რომლებიც ერთნაირად არიან დაინტერესებული გარემოს დაცვითა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით, ეს არის ჩვენი წყობილების ჰუმანურობა და დემოკრატიულობა, ეს არის საბოლოო აგარიშით, სოციალიზმის ყველა უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სოციალიზმის პირობებში არათუ არ ეწინააღმდეგება გარემოს დაცვის მიზნებსა და სისტემებს, არამედ, პირიქით, პირველად ისტორიაში ქმნის ზუსტ მეცნიერულ საფუძველზე მთელი ამ მუშაობის განხორციელების პირობებს.

ამოცანა ის არის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ყველა უპირატესობა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ბუნების, მთელი გარემოს დაცვისათვის.

ჩვენ ბევრი რამ გვაქვს, რის დაცვაც და შენარჩუნებაც საჭიროა.

ჩვენი რესპუბლიკის ბუნება განუმეორებლად ლამაზი, უნიკალური და მეტად მრავალფეროვანია. საქართველოს უკავია სუბტროპიკული სარტყლის ჩრდილოეთი პერიფერია. ადგილმდებარეობის მნიშვნელოვანი სიმაღლე, რელიეფისა და კლიმატის მრავალფეროვნება განაპირობებს ბუნებრივი კონტრასტების დიდ მრავალგვარეობას. მის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ყველა ვერტიკალური ლანდშაფტური სარტყელი, ტენიანი და მრავალ სუბტროპიკებით დაწყებული და მარადიული თოვლისა და მყინვარების სარტყლით დამთავრებული.

საქართველოს ტერიტორიაზე 25 ათასზე მეტი დიდი და პატარა მდინარეა, საერთო სიგრძე დაახლოებით 55 ათას კილომეტრს შეადგენს. არის 900 დიდი და პატარა ტბა, 1400 მინერალური წყარო. 320 კილომეტრ მანძილზე რესპუბლიკის სანაპიროს შავი ზღვა ეკვრის. საქართველოს კურორტები მსოფლიოშია განთქმული.

საქართველოს ტყეებში, რომლებიც [illegible] ფლობენ, წყალშემახავი, საკურორტო და სხვა სასარგებლო თვისებები აქვს, ხარობს ძვირფასი და რელიქტური უნიკალური ჯიშები.

საქართველოში ფაუნას 600-ზე მეტი სახეობა ბინადრობს.

ბუნების დაცვასა და მის სიმდიდრეთა რაციონალურ გამოყენებას საბჭოთა სახელმწიფო უაღრესად დიდ ყურადღებას უთმობდა თავისი არსებობის პირველი წლებიდანვე.

სსრ კავშირში განხორციელებული ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების ღონისძიებები ორგანულად არის დაკავშირებული ლენინის პარტიის გენერალიურ ხაზთან, რაც აისახა სკკპ XXIV და XXV ყრილობების დირექტივებში, სსრ კავშირის კანონებსა და უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, მთავრობის დადგენილებებში შავი ზღვის, კასპიის, ბაიკალისა და ეოლგის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და შენარჩუნების შესახებ.

ბუნების დაცვის პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. საქართველოს ერთ-ერთმა პირველმა ჯერ კიდევ 1958 წელს მიიღო კანონი ბუნების დაცვის შესახებ.

1974 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი.

ბუნების დაცვის სახელმწიფო ღონისძიებებში მონაწილეობს თითქმის ყველა სამინისტრო, უწყება და ორგანიზაცია, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღიან განლაგებული. იღებენ მათი საქმიანობის საფუძველი უნდა იყოს მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების შედეგები. დღეისათვის საქართველოში ასამდე სამეცნიერო ორგანიზაცია ამუშავებს 180-ზე მეტ თემას, რომლებსაც თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ეკოლოგთა შორის ამბობენ, ხოლმე, რომ ბუნების გარემოს დაცვისათვის მუშაობა ოთხ ეტაპად იყოფა — პირველი, როცა არც [illegible] ეპარაკია და არც საქმე; მეორე — როცა მხოლოდ ლაპარაკია; მესამე ეტაპი — ლაპარაკიც და საქმეც; მეოთხე — მხოლოდ საქმე და არაკითარი ლაპარაკი.

თითოეულ ამ ფრთიან ფრაზაში არის ჭეშმარიტების წილი.

ჩვენ გვეპირდება კონკრეტული მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებანი სახალხო მეურნეობის განვითარებისა და გარემოს დაცვის უმტკივნეულო შეხამების შესახებ, ბუნების დამცავი, ბუნების აღმდგენი, ბუნების წარმომქმნელი და ბუნების აღმზრდელობითი ღონისძიებანი.

ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი უნდა ასრულებდეს ორგანიზატორულ და მაკორდინირებელ როლს გარემო ბუნების დაცვისა და აღდგენა-გამრავლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

ამხანაგებო, გთხოვთ სწორად გამიგოთ, კონფერენცია რმიტომ კი არ მოვიწვიეთ, რომ ეკოლოგიურ კრიზისს განვიცდით. დღეს საქართველო კიდევ უფრო ლამაზია ბუნების თვალსაზრისით, ვიდრე პუშკინისა და ლერმონტოვის დროს იყო.

(მაბრძელება მე-2 გვ.)

ბუნების დაცვა თითოეულის მოქალაქეობრივი ვალია

(მაგრძელება)

დღეს ალბათ ვერც კი ჩამოთვლით სხვადასხვა დროის ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურისა და მეცნიერების ყველა იმ დიდ მოღვაწეს, რომელთა შემოქმედებაში საქართველოს ბუნებამ შთამაგონებლის როლი შეასრულა.

მაგრამ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ბუნება სსრ კავშირის ყველა მშრომელის საერთო კუთვნილებაა და ჩვენ, მისი მცხოვრებნი ორეკლად ვართ მოვალენი ეუფრთხილდებოდეთ მას თვალისჩინივით, ვიცავდეთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველასათვის, ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის. ამ საქმეში აქანგარდული როლი უნდა შეასრულონ კომუნისტებმა, პირველადმა, რაინონულმა, საქალაქო და საოლქო პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა, პიონერულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ყოველ ღონეს უნდა ხმარობდნენ, რათა მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას ჩაუნერგონ კომუნისტური დამოკიდებულება ბუნებისადმი, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებისა და პატრიოტული, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის უშრეტი წყაროს ფაქტორისადმი. თითოეულ კომუნისტს ბოლომდე უნდა ჰქონდეს შეგნებული, თუ რაოდენ დიდი პარტიული და სახელმწიფო პასუხისმგებლობა აკისრია ჩვენი შვილების, შვილიშვილების, ყველა მომავალი თაობის მერმისისათვის.

არ უნდა ვსაჯერდებოდეთ სანაჩერო ღონისძიებებს ამ საარსებო მნიშვნელობის საქმეში. ჩვენ უნდა ვეჭირვებდეთ, ვითვალისწინებდეთ, ეაანალიზებდეთ, თუ რა შედეგს მოიტანს ესა თუ ის გადაწყვეტილება მომავალში. არადა, თვით ცხოვრებამ დაუსვა ოღეს ქაცმბრიობას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი იქნება იგი. ჩვენი ხელთნდელი ახალი გარემომცველი ბუნება, მომავალი კომუნისტური საზოგადოების გარემო.

სწორედ ამის დადასტურებაა, რომ ერთ ქართულ პოპულარულ სამოგრაში ნათქვამია: „ტყე შეუნახე შვილებსა, მაშა ხარ, შენი ვალია!“.

ახალი, მოწინავე იბადება ყოველ რესპუბლიკაში, ყოველ მხარესა და ოლქში. ჩვენ მხოლოდ უნდა ვიცოდეთ მისი დროული დანახვა, ყოველივე ძვირფასის მხარდაჭერა, დადებითი გამოცდილების გავრცელების განმტკიცება. ცხოვრება შუდამ პროგრესულის მხარეზეა.

უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიული, სახელმწიფო და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების მსვლელობაში მიღწეულია მთელი რიგი დადებითი შედეგები გარემო ბუნების დაცვის დარგში: მიღებულია სპეციალური დოკუმენტები ზოგიერთ ტერიტორიულ კომპლექსში ბუნების დაცვის, აღდგენისა და გაუმჯობესების საკითხებზე, აგრეთვე მთელი რიგი ქალაქებისა და სამრეწველო რაიონების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამები. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაში წლითიწლობით იზრდება კაპიტალური დაბანდებანი ბუნების დაცვის ღონისძიებებისათვის: თუ მეცხრე ხუთწლედში აღნიშნული მიზნებისათვის გამოყოფილი იყო 82,9 მილიონი მანეთი, მეათე ხუთწლედში ამ თანხამ 135,5 მილიონი მანეთი შეადგინა.

გარემო ბუნების დაცვის ეკოლოგიური მოთხოვნები სავალდებულო გახდა ახალი სამრეწველო საწარმოებს დაპროექტებისა და აგების, ძველებულთა მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ მარტო 1977 წელს ეროზიასაწინააღმდეგო და ღვარცოფსაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისათვის დაიხარჯა 7 მილიონ 620 ათასი მანეთი, საწმენდ ნაგებობათა მშენებლობისათვის — 20 მილიონ 925 ათასი მანეთი.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, გარემო ბუნების დაცვა საკმაოდ დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს. მაგრამ ეს გამართლებული ხარჯებია, და, როგორც იტყვიან, ასკეცად ნაზღაურდება.

ამოცანა ის კი არ არის, რომ თავი შეეკავოთ ასიგნებებისაგან, ეს გონიერული არ იქნება, არამედ ამოცანა ის არის, რომ გარემო ბუნების დაცვის საქმეში დაბანდებული თითოეული მანეთისაგან მაქსიმუმ უკუგებას ვიღებდეთ.

რესპუბლიკაში იქმნება ახალი სახელმწიფო ნაკრძალები, ნაკრძალი ტყეები, სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობები. „წითელ წიგნში“, რომელიც წელს გამოვა, შეტანილია ფაუნისა და ფლორის იშვიათი სახეობები, რომელებსაც გადაშენების საფრთხე ელის. რესპუბლიკაში თევზის გაშენებისათვის მოქმედებს საგუბურე მეურნეობანი, იზრდება მინდორსაცავი ტყის ზოლების ფართობები, ეროზიულ ფართობებზე გაშენდა ტყეები, გაკეთდა ტერასები და სხვ.

რესპუბლიკაში შენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ჩამდინარე წყლების საწმენდი, წარმოების აირადი ნარჩენების ლიკვიდაციის ნაგებობანი, შენდება მიწისქვეშა გადასასვლელები და ესტეტადები, რათა შემცირდეს ავტომობილების გამონაბოლქვი ვაზების მავნე გავლენა და განიტვირთოს სატრანსპორტო მაგისტრალები გათვალისწინებულია სამრეწველო ქალაქების ჰაერის აუზის გაჯანსაღების ღონისძიებანი.

საქართველოს ბუნება მარტო ლამაზი კი არა, მკაცრიცაა.

კონფერენციის მონაწილეებმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან იცოდნენ ზარალის ყოველწლიური ოდენობა, რომელსაც რესპუბლიკა განიცდის სტიქიური მოვლენების გამო.

საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 4,6-ჯერ ნაკლები სახნავი მიწა, ვიდრე საშუალოდ მთელ კავშირში. ყველა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის საერთო ფართობი 3 მილიონ ჰექტარზე ნაკლებია, ხოლო ეროზიერებული მიწების ფართობი 400 ათას ჰექტარზე მეტია.

ჩვენ სტიქიურ ძალებზე უფრო ძლიერნი უნდა ვიყოთ.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საქართველოს შავი ზღვის ნაპირების დასაცავად დაიხარჯა 70 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, მაგრამ 155-დან 183 კრძივ კილომეტრამდე გაიზარდა სანაპირო ზოლი, რომელსაც წყალი რეცხავს. არსებული პროგნოზებით, მომავალში მოსალოდნელია ამ პროცესის უფრო მეტი ინტენსიფიკაცია.

გრძელდება შავი ზღვის სანაპირო წყლების გაუფუყიანება.

რესპუბლიკაში წყლის ძირითადი მომხმარებლებია მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და მოსახლეობა.

უნდა ვეუფრთხილდებოდეთ წყალს, მის სისუფთავეს.

სამწუხაროდ, სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის ხელმძღვანელები არ ზრუნავენ გარემო ბუნების დაცვისათვის.

წარმოქმნილი გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლების მოცულობა ამის შედეგად მნიშვნელოვანია.

ნორმატიულად იწმინდება მხოლოდ 300 ათასი კუბური მეტრი წყალი დღე-ღამეში.

აღნიშნული მიზეზების გამო შავი ზღვის აუზის მდინარეებში დღე-ღამეში ჩადის ასობით ტონა მტვრევებებული ნივთიერება და ნავთობპროდუქტები. აუზის მდინარეების მიხედვით განლაგებული სოფლის მეურნეობის 145 ობიექტიდან 67 ობიექტი არ ასრულებს წყალდამცავ მოთხოვნებს.

სერიოზული ნაკლოვანებანი შეიმჩნევა სანაკრძალე და სამონადირეო მეურნეობის მუშობაში, იქტიოფაუნის გამოყენებასა და შენარჩუნებაში, გაუუფუყიანებისაგან ატმოსფეროს დაცვის საქმეში და სხვ.

ამ საქმეში უნდა დავამყაროთ სახელმწიფო წესრიგი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის დადგენილებაში „ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“ ხაზგასმულია, რომ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, დაცვა და აღდგენა-გამრავლება, ბუნებისადმი სათუთი დამოკიდებულება სსრ კავშირში კომუნიზმის შენებლობის შემადგენელი ნაწილია.

ამის ახალი, ნათელი დადასტურებაა სსრ კავშირის კონსტიტუცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ახლანდელ და მომავალ თაობათა ინტერესებისათვის ჩვენში ხორციელდება ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ბუნების დაცვა და მის სიმდიდრეთა რაციონალური, მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენება.

ბევრი რამ კეთდება.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ყოველი შრომითი დღე წარმოშობს ახალ პრობლემებს, გვიკარნახებს ახალ გადაწყვეტილებებს გარემოს დაცვის საქმეში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომწიფდა გარემოს დაცვის სამუშაოთა უფრო გონივრული კოორდინაციის საკითხი.

ისტორიული, კულტურული და ბუნების ძეგლების დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკაში მიმდინარე წელს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან შეიქმნა მართვის სპეციალური სისტემა.

ახლა რესპუბლიკაში ამ ძეგლების დაცვა, როგორც საბჭოთა ხალხი (კულტურის სამინისტრო), ისე საზოგადოებრივი ხალხი (ძეგლთა დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოება) თავმოყრილია ერთ ხელში — კულტურის მინისტრის მოადგილის ხელში. იგივე პირი არის ნებაყოფლობითი საზოგადოების თავმჯდომარე და კულტურის სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს უფროსი. ეს საშუალებას გვაძლევს უფრო რაციონალურად, ეფექტიანად და ოპტიმალურად ვუხელმძღვანელოთ აღნიშნულ სფეროს, უფრო გეგმაზომიერად გამოვიყენოთ როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი შესაძლებლობანი.

ეფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება ასეთივე პრინციპით ხორციელდებოდეს ბუნების დაცვის ხელმძღვანელობაც. როგორც ჩანს, საჭიროა ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელის ხელში მოვუყაროთ თავი ბუნების დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოების ხელმძღვანელობას.

უნდა ვიფიქროთ მართვის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციისათვის სხვა მიმართულებებიც.

ჩვენს ხალხს ბუნებისა და მისი გარემოს დაცვის ოდითგანვე საუცხო ტრადიციები აქვს.

გავიხსენოთ გენიალური რუსთაველი და დიდი ვაჟა-ფშაველა, ბუნების დიდი მეხოტბენი, ადამიანისა და ბუნების რა ჰარმონიულ ერთიანობას მიუძღვნეს საგალობლები ამ დიდმა პოეტებმა და მოაზროვნეებმა. ავთანდილის სიმღერას უსმენენ და ესმით, ამ სიმღერით მოხიბლული არიან ადამიანებიც და მხეცებიც. ეს ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიისა და ერთიანობის გენიალური, პოეტური სურათია. თუ რუსთაველს პოემაში ადამიანის ენა გასაგებია ბუნებისათვის, ვაჟა-ფშაველასთან ბრძენმა მინდიამ იცის ბუნების ენა, ფრინველებისა და მცენარეების ენა.

ასეთი გენიალური, პოეტური და ფილოსოფიური სურათები, სახეები, კონცეფციები ადამიანისა და ბუნების ერთიანობისა და ჰარმონიის შესახებ შეეძლო შეექმნა მხოლოდ ხალხს, რომელიც უაღრესად დაინტერესებული იყო ამ ერთიანობითა და ჰარმონიით, რომელშიც იცოდა ყოველივე ამის ყადრი.

მაშ მოდით, ვიყოთ ამ დიადი ტრადიციების ღირსნი და წავიდეთ უფრო შორს, უფრო წინ, გადავდგათ ნაბიჯი პირიზონტს იქით მშობლიური ბუნების, მთელი გარემოს დაცვის საქმეში, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვს ჩვენი თანამედროვეობა და თვალსაწიერი მომავალი.

ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთვამს რწმენას, რომ ჩვენი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შემუშავებს საყურადღებო რეკომენდაციებს ისეთ დარგში სამოშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ. როგორიც არის ბუნების დაცვა, მიწის რესურსებისა და წყალის რაციონალური გამოყენება. სტიქიურ ობიექტებთა და ბუნების მავნე მოვლენათა წინაალმდეგ ბრძოლის გაძლიერება. თანგრძელისა და წარეცხვისაგან შავი ზღვის სანაპიროსა და ბლაჟების დაცვა, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება. წყალსატევების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება. მრეწველობისა და ენერგეტიკის საწარმოთა ამონაფრქვევით გაჭუჭყიანებისაგან, სატრანსპორტო საშუალებათა მავნე ზემოქმედებისაგან ჰაერის გარემოს დაცვა. მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და აღდგენა-გამრავლების სრულყოფა. გარეშო ბუნების პრობლემებზე მეცნიერული კვლევის ორგანიზაციის გაუმჯობესება, განათლებისა და საგბატაციო-აღზრდილობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება.

ბუნება ცხოვრების წიგნია ყველას რიდი ძალუძს მისი წაკითხვა. ეს უნდა ისწავლო.

მშობლიური ბუნება შემოქმედებითი შთაგონების, ესთეტიკური და პატრიოტული, მაშასადამე, ინტერნაციონალურ-პატრიოტული აღზრდის უშრეტი წყაროა.

მაშ მოდით, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მას.

ამ დარბაზში არიან ჩვენი პარტიული. საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტების, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, ჩვენი ძვირფასი სტუმრები, რომლებიც ჩამოვდნენ რუსეთის სფს რესპუბლიკიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ლიტვიდან, მოლდავეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, სხვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებიდან, მათ შორის — სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იური ანტონის ძე იზრაელი, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი ვალენტინ გიორგის ძე სოკოლოვსკი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე ვლადისლავ ალექსანდრეს ძე ანიკეევი, თვალსაჩინო მეცნიერები მოსკოვიდან. ლენინგრადიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიტე-პრეზიდენტი ლენინური პრემიის ლაურეატი ალექსანდრე ვასილის ძე სიდორენკო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი ნიკოლოზ პეტრეს ძე ფუბინინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვალერი ლეონიდის ძე ბარსუკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბორის ნიკოლოზის ძე. ლასკორინი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვსევოლოდ პაველს ძე ზენკოვიჩი, ეკონომიკა-მათემატიკის ცენტრალური ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, პროფესორი კონსტანტინე გიორგის ძე გოფმანი და ბევრი სხვა თვალსაჩინო მეცნიერი.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გულთბილად მივესალმო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსური პრობლემებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ყველა მონაწილეს და გისურვოთ დიდი შემოქმედებითი წარმატებანი, სიხარული, ახალი მეცნიერული აღმოჩენები, დიდი ბედნიერება.

კონფერენციაზე ძირითადი მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ. მან თქვა:

ბუნებასთან ადამიანის ურთიერთმოქმედება ადამიანთა საზოგადოების განვითარების მარადიული პრობლემაა. თავისი დაბადების მომენტიდან დღემდე ადამიანი გარემომცველი ბუნებიდან იღებს ყოველივეს, რაც სჭირდება. მაგრამ დიდი ხნის მანძილზე მოხმარების შეზღუდულობის გამო ზიანი, რასაც იგი ბუნებას აყენებდა, უმნიშვნელო და შეუმჩნეველი იყო. მიუხედავად ამისა იმ შორეულ დროშიც ადამიანებს ჰქონდათ შესაძლებლობა დარწმუნებულიყვნენ, რომ ბუნებრივ სიმდიდრეთა მტაცებლური გამოყენება საგრძნობ ზიანს აყენებდა გარემოს.

საზოგადოების მოთხოვნილებებსა და ბუნების შესაძლებლობებს შორის ყველაზე ძლიერი წინააღმდეგობა XX საუკუნეში ჩნდება.

ბუნებრივ სიმდიდრეთა შენარჩუნებისა და გარემოს დაცვის შესახებ სოციალისტური საზოგადოების ძირითადი პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვ. ი. ლენინის ხელმოწერილ დეკრეტებსა და დადგენილებებში, ამ საკითხზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი შემდგომი საქმიანობის ფუძემდებლური პრინციპები გახდა.

1972 წელს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, დაცვა და აღდგენა-გამრავლება, ბუნებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება სსრ კავშირში კომუნიზმის შემადგენელი ნაწილია“.

უკანასკნელი წლების მანძილზე სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „გარეშოს დაცვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი კანონები, როგორიც არის „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები“, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები“, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები“, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლები“.

განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ბონების დაცვის საკითხებს სსრ კავშირის - ახალ კონსტიტუციაში — განვითარებული სოციალიზმის პირობებში ჩვენი სახელმწიფოს ძირითად კანონში. კონსტიტუციაში ზუსტად არის ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ამოცანები, სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობანი ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და გაუმჯობესების საკითხებზე.

მეათე ხუთწლედში ბუნების დაცვისათვის მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში, რომლებიც მოწონა სკკპ XXV ყრილობამ.

მარტო მიმდინარე ხუთწლედში ბუნების დაცვის ღონისძიებებისათვის ჩვენს ქვეყანაში გამოიყო 11 მილიარდი მანეთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის მეოხებით პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელები თანამემდეგრეულად ახორციელებენ ეკონომიკის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის, მშრომელთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, გარემოს დაცვის დაღვიერებისა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუშაობის ფართო პროგრამას.

ჩვენს რესპუბლიკაში — განუმეორებელი სილამაზის, მრავალფეროვანი ბუნების, რელიეფისა და კლიმატის მხარეში — ბუნება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

საქართველოს ბუნება ლამაზი, მაგრამ ამავე დროს ჭირვეული. ამას ადასტურებს სტიქიური მოვლენები, რომელთა ფორმები აგრეთვე ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით ბუნება. ეს არის — მდინარეების ადიდება, ზღვის ნაპირების ჩამორეცხვა, მეწყერი, კლდის ჩამოქცევა, ღვარცოფები, ინტენსიური გამოფიტვა, მიწისძვრები, გრიგალი-სებური ქარები, კოკისპირული წვიმები, სეტყვა და თოვლის ზვავები. ისინი რესპუბლიკას უმნიშვნელოვანეს ზიანს აყენებენ და ამ მოვლენების ლოკვიდაცია დიდ ფულად, მატერიალურ და შრომითს რესურსებს მოითხოვს.

რესპუბლიკის ამ თავისებურებათა შესაბამისად ყალიბდება ამოცანები და განისაზღვრება გარემოს დაცვის საარსებო საკითხების გადაწყვეტის გზები, ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. საქართველოს სს რესპუბლიკას უკავია 70 ათასი კვადრატული კილომეტრი, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მხოლოდ დაახლოებით 3 მილიონ ჰექტარს შეადგენს. მრავალფეროვანი კლიმატური ზონების პირობებში ძვირფასი მიწის ფართობების გამოყენება განსაკუთრებულ სიფრთხილესა და დიდ ყურადღებას მოითხოვს. ამავე დროს შეშფოთებას იწვევს ის გარემობა. რომ სათესი ფართობი წლითიწლობით მცირდება, და მნიშვნელოვანი ფართობები გამოდის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. ამის მიზეზები სხვადასხვაა — ეს არის რესპუბლიკის მთიანი რაიონებიდან ბარად მოსახლეობის მიგრაცია, მშენებლობისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოსადეგი მიწების გამოყოფა, მაგრამ დასამუშავებლად გარგისი მიწების შემცირება ძირითადად ხდება ეროზიული პროცესების ხარჯზე, რაც უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება ფერდობებზე, რომელთა ჩვენ ინტენსიურად მომდინარეობს და საკმაოდ არ არის დაცული ტყის ზოლებით.

ნიადაგდამცავი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური პროგრამის შემუშავების მიზნით და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად რესპუბლიკაში ჯერ კიდევ 1968 წელს შედგა 170 ათას ჰექტარზე მეტი ისეთი ნიადაგების დაცვის ღონისძიებათა გენერალური სქემა, რომლებიც ეროზიულ პროცესებს განიცდის. გათვალისწინებულია ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა.

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისათვის გამოიყოფა მნიშვნელოვანი სახსრები — მეცხრე ხუთწლედში, მაგალითად, ეს სახსრები 28 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენდა.

1975-1978 წლების პერიოდში შექმნილია დაახლოებით 1,7 ათასი ჰექტარი მინდორსაცავი ტყის ზოლები, მოტყევებულია 11 ათასი ჰექტარი ეროზიერებული ფერდობები, ტერასები გაშენებულია 2,3 ათას ჰექტარზე.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ნაპირსამაგრებელი და წყალსარინი ნაგებობებისათვის დაიხარჯა 30 მილიონ მანეთზე მეტი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის ისეთ მცირემიწიან რესპუბლიკაში, როგორიც საქართველოა, დიდი მნიშვნელობა აქვს ციცაბო ფერდობების რაციონალურ გამოყენებას. მაგრამ ეს რამდენადმე აჩქარებს ეროზიის პროცესებს, ამიტომ ფერდობების გამოყენება უნდა შეიუხამდეს დატერასებას, თუკი საიმისოდ არის ხელშემწყობი ბიოლოგიური პირობები.

ჩვენს რესპუბლიკაში უმნიშვნელო ფართობი უკავია სახნავ მიწებს, რომლებიც განსაკუთრებით ვარგისია ისეთი ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, ყურძენი, ხილი, ტრენიკული კულტურები. რომლებზეც ქვეყანაში დიდი მოთხოვნაა. ეგეგმება და ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი, რათა ეფექტიანი აგროტექნიკური ხერხების გამოყენების გზით ნიადაგიდოთ ამ კულტურების მოსავლიანობა, აგრეთვე ავითვისოთ მიწის ფართობები, ამასთან შეეასრულოთ დიდი სამელიორაციო სამუშაოები. მაგრამ მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მევენახეობისა და ტექნიკური კულტურების წარმოების ინტენსიური განვითარება ვერ მოხერხდება, თუ არ გამოძიებნენ დამატებითი ფართობები მათი მოვლა-მოყვანისათვის.

გარდა ამისა საქართველოს დაბლობებსა და შედარებით ვაკე რაიონებში სახნავი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო საკვებ კულტურებს. შარშან, 1977 წელს საკვებ კულტურებს ეკავა 68 ათასი ჰექტარი, ანუ ნათესების საერთო ფართობის 36 პროცენტი, აქედან 65 ათასი ჰექტარი სარწყავი ფართობი, ანუ სარწყავი მიწების 38 პროცენტი.

საკვებმოპოვების განვითარებისათვის პოტენციური შესაძლებლობების მქონე მიწის ფართობებზე კლიმატური პირობებისა და ადგილის რელიეფის გათვალისწინებით აგროტექნიკური და სამელიორაციო სამუშაოების კომპლექსის შესრულების გზით უახლოეს წლებში შესაძლებელი იქნება საკვებწარმოება გაიზარდოს 2,8-3 მილიონი საკვები ერთეულით.

მრავალწლოვანი კულტურებისათვის ძირითადად დასახლებული პუნქტების ზონებში მდებარე მიწის მასივების ათვისება გარდა იმისა, რომ მოგვცემს დიდ ეკონომიკურ ეფექტს, ხელს შეუწყობს გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და მიტად ხელშემწყობი მიკროკლიმატური და სანიტარიული პირობების შექმნას.

ამის ნათელი მაგალითია უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე თბილისის ზონაში მოხმარდა დაღებითი ცვლილებანი, რომლებიც გამოწვეა თბილისის წყალსაცავის შექმნამ, სამგორის სარწყავი სისტემის გაყვანამ და ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში დიდი მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების შექმნამ, სადაც მიწები ირწყვება დაწვიმებით და შენდება დიდი მინდორსაცავი ტყის ზოლები.

გაითვალისწინეს რა აღმოსავლეთ რაიონებში სამრეწველო მევენახეობისა და დასავლეთ საქართველოში ჩაისა და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების წარმოების განვითარების, აგრეთვე თავისუფალი, ზოგჯერ კი მიგდებული მიწების გამოყენების განსაკუთრებული მნიშვნელობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ერთად დასახეს კარდინალური ღონისძიებანი, რომელთა შესაბამისად კახეთის რაიონში ხორციელდება საირიგაციო სისტემების მშენებლობის დიდი პროგრამა 1990 წლამდე პერიოდის ჩათვლით.

სამელიორაციო მშენებლობის ღიდმნიშვნელოვანი პრობლემაა ქოლხეთის დაბლობის მიწების ამოშრობა და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისება. 200 ათას ჰექტარზე მეტი ფართობის ამ ზონის მიწები თავისი ბუნებრივი პირობებით ქვეყნის პრაქტიკულად ერთადერთი რეზერვია სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი გაფართოებისა და ისეთი ძვირფასი კულტურების წარმოებისათვის, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, ტუნგი, დაფნა, ბამბუკი, ეკალიპტი.

სულ კოლხეთში მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე გათვალისწინებულია 110 მილიონ მანეთზე მეტი მოცულობის სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ათვისება, 40 ათასი ჰექტარი ამოშრობილი მიწების ბრუნვაში მოქცევა.

დაგვალული, აგრეთვე დაჭაობებული მიწების ათვისების დიდ ღონისძიებათა განხორციელება არა მარტო ეკონომიკური ამოცანა, არამედ აგრეთვე დიდი სოციალური პრობლემაა, რამდენადაც იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული მიკრობუნებრივი პირობების კეთილნაყოფიერ ცვლილებებთან და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, ახალი მიწების ათვისებას ფართო სამელიორაციო სამუშაოთა მოწყობასთან.

ეს დიდი და ძნელი ამოცანაა. მისი გადაწყვეტა მოითხოვს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზების ხანგრძლივ გულმოდგინე მუშაობას, მეცნიერულ-კვლევითს, საპროექტო-საძიებო, დიდ სარწყავ და საექსპლოატაციო სამუშაოთა განხორციელებას.

ნიადაგის სტრუქტურის დარღვევის, მიწების გამოფიტვისა და ნაყოფიერების შემცირების სხვა არსებითი ფაქტორებიდან, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზარალი, რომელსაც სამთამადნო მეწარეობა, კერძოდ სასარგებლო წყალისეულის ღია წესით დამუშავება აყენებს.

თუ ეროზია ფიტავს ნიადაგს, სამაგიეროდ სასარგებლო წიაღისეულის ღია დამუშავება და უწინარეს ყოვლისა საკარიერო მეურნეობა მთლიანად ნთქავს მის ნაყოფიერ ფენას.

ამ ფაქტორის გამორიცხვისათვის უკანასკნელი წლების მანძილზე დიდი ყურადღება ეთმობა სამრეწველო მიზნით გამოყენებული მიწების რეკულტივაციას. ეს ნაკარნახევია არა მარტო სოფლისა და სატყეო მეურნეობის მოთხოვნილებებით, არამედ ჯანმრთელობის დაცვის ნორმებითაც.

მიწების რეკულტივაცია მიწისადმი სოციალისტური საზოგადოების დამოკიდებულების, შემდგომი თაობების ცხოვრებისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო მაჩვენებელია. ამიტომ უწყებებმა, რომლებიც ღია წესით ამუშავებენ სასარგებლო წიაღისეულს დროულად უნდა განახორციელონ ნამუშევარი ფართობების აღდგენისა და სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის გარგისი სახით მიწით მოსარგებლებისათვის დაბრუნების საჭირო ღონისძიებანი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ სახნავი მიწების ათვისება, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით მიგდებულია და არ არის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში. ასეთი მიწები არის რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში და ეს იმ ფართობების გადიდების ერთ-ერთი რეზერვია, რომელთა გამოყენება შეიძლება. ამ მხრივ მხარდაჭერის ღირსია საგარეჯოელთა და გურჯაანელთა მგალითი, რომლებიც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აღადგინეს და სახნავად ათვისეს წლობით მიგდებული მიწები: გურჯაანელებმა — 686 ჰექტარი, ხოლო საგარეჯოელებმა — 513 ჰექტარი. საქმისადმი ასეთი მიდგომა ფართოდ უნდა გავრცელდეს, ამისათვის არის ყველა შესაძლებლობა, სახსრები, მასალები და ტექნიკა.

სახალხო მეურნეობის გაძღოლის ჩ

ბუნების დაცვა თითოეულის მოქალაქეობრივი ვალია

(დასასრული)

1973 წელს მიღებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქალაქების თბილისსა და რუსთავის მწვანე ზონების შექმნისა და გაფართოების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პარკების, ბაღების, ტყის ზოლებისა და სხვა მწვანე მასივების შექმნის ერთიან პროგრამას. უნდა დავაჩქაროთ დასახული პროგრამის შესრულება, ამ საქმეში უფრო ფართოდ ჩავაბათ თბილისისა და რუსთავის საზოგადოებრიობა. უნდა გავაფართოოთ ნერგების გამოყვანის საშუალები. ამ მიზნით შეკქმნათ სანერგე მეურნეობები, გაეზარდოთ თბილისის საქალაქო სანერგე, რომლის საერთო ფართობი ახლა არ აღემატება 120 ჰექტარს.

ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს უნდა გიხელმძღვანელოთ შეფასებებითა და რეკომენდაციებით, რომლებსაც შეიცავს ამხ. ე. ა. შევარდნაძის მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულ პლენუმზე გაკეთებული მოხსენება.

ტყეებისა და სხვა ფლორის თანამედროვე მდგომარეობასთან უღრეს ად ძნიდროდ არის დაკავშირებული ეხოველთა სამყარო, რომელიც ეგუება გარკვეულ ბიოცენზს და ორგანულად დამოკიდებულია მასზე. რესპუბლიკის ტყეებში მობინადრე ცხოველთა სამყაროს დაკვირვება მოწმობს, რომ იგი მკვეთრად შემცირდა როგორც რიცხობრივად, ისე ხარისხობრივად. ეს იმით აიხსნება, რომ ჯეროვნად არ ვაფასებთ ველური ფაუნის სამეურნეო მნიშვნელობას. საქართველოში სამონადირეო სავარგულების საერთო ფართობს დაახლოებით 4 მილიონი ჰექტარი, ხოლო სამონადირეო მეურნეობებს — 100 ათასი ჰექტარი უკავიათ. არის ზონბის, გნოლისა და სხვა გარეული ფრინველის მომრავლების ხელშემწყობი პირობები, მაგრამ მათ მეტად არადამაკმაყოფილებლად ვიყენებთ. მდგომარეობას ერთგვარად ამსუბუქებს ის, რომ რესპუბლიკაში არის 113 ათას ჰექტარზე განლაგებული 19 ნაკრძალი. აქ წარმოებს გარკვეული შუშაობა ფლორისა და ფაუნის შესწავლისათვის, წარმოებს ეხოველთა და მცენარეთა მოშენებადამრავლების ღონისძიებანი, მაგრამ „ბუნების ამ მუზეუმებშიც“ კი არის ნაკრძალთა რეჟიმის დარღვევები და ბრაკონიერობის შემთხვევებიც.

გარემოს დაცვა თანამედროვეობის გლობალური პრობლემაა, თქვა შემდეგ მოახსენებელმა. იგი ისეთივე ეფექტიანი უნდა გახდეს, როგორიც არის ბრძოლა თერმობირთვული ომისა და დიდი ეპიდემიების წინააღმდეგ, თორემ შეიძლება გარდუვალი კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ. ბუნებისათვის, მის სიმდიდრეთა აღდგენისა და გამრავლებისათვის ბრძოლა სოციალისტური წყობილების თვით არსიდან გამომდინარეობს. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს გავაცნოთ გარემოს დაცვის პრობლემების არსი და მნიშვნელობა. საჭიროა მოსახლეობის ფართო ფენების სწორი ორიენტაცია და მათი მეცადინეობის სისტემატური წარმართვა იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ, თვით ცხოვრებამ დასახეს. ამიტომ გარემოს დაცვისათვის მთელ ჩვენს საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ორგანიზატორულ, პროპაგანდისტულ და საგანმანათლებლო მუშაობას.

გაისად უნდა გამოვიდეს „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“ და მთელი რიგი სხვა ნაბეჭდი მასალები, რომლებიც დადებითს როლს შეასრულებს ბუნების დაცვაში მწვავე პრობლემების პროპაგანდისა და ამ მიმართულებით განათლების გაუმჯობესების საქმეში.

გარკვეულ მუშაობას ეწევა ბუნების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოება, რომელიც 1,5 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს.

მაგრამ ბუნების დაცვის პროპაგანდისა საკითხების საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი ხარვეზი, საკმარისად არ შუქდება ეს საკითხები პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით, ეოტა გამოდის სპეციალური ლიტერატურა, სრულყოფილი არ არის გამოცემათა ხარისხი, გადაცემების დონე. სასურველია გამოეუშვათ მეტი ფილმები საქართველოს ბუნების შესახებ. უნდა დავაჩქაროთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ბუნების დაცვის პავილიონის გახსნა.

უნდა გაფართოვდეს სოციალისტური შეჯიბრება უწყებებსა და ორგანიზაციებს შორის ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისა და გამარჯვებულთათვის სპეციალური ჯილდოების დაწესებისათვის.

ამჟამად სოციალურმა გარდაქმნებმა და ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების გიგანტურმა გაქანებამ განაპირობა ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელების სულ უფრო მეტი სახეების გამოყოფის აუცილებლობა. ამავე დროს ამ საქმიანობას ეწევიან ცალკეული დარგობრივი სამინისტროები და უწყებები ცალ-ცალკე.

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა ძირეულად უნდა შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება ბუნების დაცვის ფიზიკურ შენელებლებისადმი, გაიგონ, რომ ბუნების დაცვა, ყველა მისი ასპექტი საერთო სახელმწიფო, პარტიული საქმეა. პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კოორდინაციის ყველა საკითხი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში უნდა დაეკისროს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად მოვალეა უზრუნველყოს უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მიხედვით ყველა რესურსის კონცენტრაცია, მიაღწიოს დადგენილ ვადებში დაგეგმილ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას.

დასასრულ ამხ. პატარიძემ თქვა:

— ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგაოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები და მთელი მოსახლეობა, რომლებიც შეიარაღებული არიან სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, წარმატებით განახორციელებენ გარემოს დაცვის გაუმჯობესების, მეათე ხუთწლედის ყველა დავალების შესრულების დასახულ პროგრამას. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ გარემოს დაცვის კომპლექსური პრობლემებისადმი მიძღვნილი ახლანდელი რესპუბლიკური კონფერენციის შუშაობა და მის მიერ დასახული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ბუნების დაცვის დიდი სახელმწიფო, სოციალური და საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტას.

გასული წლის ოქტომბერში თბილისში გაიმართა გარემოს დარგში განათლების საკითხებზე პირველი სამთავრობათშორისო კონფერენცია, რომელიც მოიწვია იუნესკომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს საკითხთა პროგრამასთან თანამშრომლობით. ამ კონფერენციაზე მიღებულმა დეკლარაციამ და რეკომენდაციებმა დასახეს გარემოს დარგში განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებანი როგორც ეროვნულ, ისე რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე, თქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ე. ჩერქეზიამ.** თბილისის კონფერენციის რეკომენდაციებმა უკვე მოგვცეს დადებითი შედეგები: მომზადებულია სპეციალური პროექტები, გაიმართა თათბირები, სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

ჩვენს ქვეყანაში კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემუშავებულია გარემოს დაცვისა და მისი გაუმჯობესების დარგში განათლების განვითარების გეგმა, დაჩქარდა კვლევა ამ დარგში სტანდარტების შემუშავებისათვის, გამოიცა სპეციალური ლიტერატურა. ბუნების დაცვის კანონმა და დადგენილებებმა, რომლებიც ყველა რესპუბლიკაშია მიღებული, მტკიცე სამართლებრივი საფუძველი შეუქმნეს ბუნების დაცვის ეფექტიან ღონისძიებათა, მათ შორის განათლების ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებას. გატარებულია მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი საქართველოშიც.

კერძოდ, გააქტიურდა პედაგოგიური საზოგადოებრიობის საქმიანობა, უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულია ლექციათა კურსი ბუნების დაცვის საკითხებზე, ქართულ ენაზე გამოცემულია სახელმძღვანელო და დაიბეჭდა სახელმძღვანელო, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება ბუნების დაცვის საკითხებს და სხვ. ბუნების დაცვის კეთილშობილური იდეების პროპაგანდა ჩვენში შრომელთა ფართო მასებში წარმოეს აგრეთვე შესაბამისი ლიტერატურის გამოცემის გზით, ეწყობა სამეცნიერო სესიები, გაზეთებში, ჟურნალებში, ტელევიზიითა და რადიოთი გამოდიან თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, დიდ მუშაობას ეწევა რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნა“.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ყველაფერი გავაკეთეთ, რისი გაკეთებაც შეგვეძლო და რაც უნდა გაგვეკეთებინა. ახლა მოვალენი ვართ ჩვენში, საქართველოში შეკქმნათ ამ დარგში განათლების ორგანიზაციის მაღალი ნიმუში, ჰეშმარიტი ეტალონი, და უნდა ვიფიქროთ, რომ ამის შედეგად უფრო სანიმუშო გახდება ბუნების დაცვაც.

საზოგადოებისა და ბუნების თანამოქმედების თანამედროვე ეტაპის თავისებურება ის არის, რომ ადამიანის აქტიური საქმიანობის სარბიელი ხდება დედამიწის მთელი ზედაპირი. უფრო მეტიც, ადამიანი დედამიწის ფარგლებს გასცდა და კოსმოსში გაიჭრა. ჩვენ ვიყენებთ დედამიწის ქერქის შედგენილობაში შემავალ თითქმის ყველა ნივთიერებას, თითქმის ყველა სახეობის ბუნებრივი ენერგიის წყაროებს. ადამიანი არხებით სერავს კონტინენტებს, ირთმევს ხმელეთს ზღვას. ადამიანი რწყავს უდაბნოს, აშრობს ჭაობს, დინებას უცვლის მდინარეებს და ამით კლიმატურ პირობებსაც ცვლის. და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე საწარმოო ძალების დონის ზრდასთან ერთად განუხრელად ძლიერდება.

ბუნების ახალი რესურსების გამოვლენაში წამყვანი როლი ეკუთვნის მეცნიერებას, მაშასადამე — მეცნიერ ადამიანებს. ამასთან დაკავშირებით ლოგიკურად სწორად უნდა მივიჩნიოთ ის დასკვნა, რომ დღეს ბუნების დაცვის დარგში განათლება პრაქტიკული პედაგოგიური ამოცანა, ამოცანა, რომლის მიზანია აღზარდოს ნამდვილად კულტურული ადამიანები, რომელთა მსოფლმხედველობა ბუნების სიყვარულისა და პატივისცემის ისტორიულად პროგრესული ტრადიციებზეა დაფუძნებული.

ჩვენი, **საბჭოური** ბუნებათსარგებლობის საფუძველია, თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოსფეროს პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა **ა. ვ. სიდორენკომ,** მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ბუნებისა და ადამიანის დიალექტიკური ერთიანობის, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთკავშირისა და ურთიერთშეპირობების შესახებ. ადამიანი ბუნების პროდუქტი, მისი ნაწილია. თავისი არსებობისათვის, საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის იგი იყენებს ბუნებრივ რესურსებს და ამასთან იყენებს სულ უფრო მზარდი მასშტაბით, რითაც, რა თქმა უნდა, არღვევს ბუნებრივ წონასწორობას, აუარესებს ბუნებრივ გარემოს. მაგრამ ადამიანი ბუნების გონიერი ნაწილია. ადამიანი, საზოგადოება ახალი, სოციალისტური წყობილების შესაძლებლობებზე დაყრდნობის, მძლავრი ტექნიკისა და მოწინავე მეცნიერების გამოყენების საფუძველზე შესძენენ გამოიყენონ და უნდა გამოიყენონ კიდეც ბუნებრივი რესურსები ისე, რომ მაქსიმალურად შეამცირონ თავიანთი საქმიანობის ბუნებრივი შედეგები, დაეხმარონ ბუნებას ეკოლოგიური პირობების აღდგენაში.

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ი. ა. იზრაელმა** აღნიშნა, რომ ამ კომიტეტის სპეციალისტებს პასუხისმგებლობა აკისრიათ ბუნებრივი გარემოს დაბინძურებაზე დაკვირვებისა და კონტროლის სამსახურის ორგანიზაციისა და წყლისა და ატმოსფეროს დაბინძურების დონის შესახებ სასწრაფო ინფორმაციის უზრუნველყოფისათვის. ასეთი სამსახური უკვე მოქმედებს ქვეყანაში.

უკანასკნელ წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში სეროზული შუშაობა განხორციელდა ბუნებრივი გარემოს დაცვის გასაძლიერებლად, ატმოსფეროსა და წყლის გაბინძურების თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხებს.

საქართველოს მშვენიერ ქალაქებსა და სოფლებს ეტყობათ მზრუნველი და მოიმაგე პატრონის — ამ აყვავებული რესპუბლიკის მშრომელთა მადლიანი ხელი. მაგრამ უხილავი მტერი — ბუნებრივი გარემოს გაბინძურება — ფეხზოლის და სამეწარაოდ სულ უფრო ძლიერდება.

რესპუბლიკაში ჰაერის დაბინძურებისადმი რეგულარულ კონტროლს საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველო ყველა დიდ ქალაქში ახორციელებს. უკანასკნელი წლების მანძილზე ზოგიერთ ქალაქში ამაღლდა დაბინძურების დონე. იგი უმთავრესად იმის შედეგია, რომ მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები დამაკმაყოფილებლად არ ასრულებენ ბუნებისდამცავ ღონისძიებებს მრეწველობის ისეთი დარგების გახვითარების დროს, როგორიც არის ქიმიური, შავი მეტალურგია, საშენ მასალათა მრეწველობა, აგრეთვე მაღალი ავტოტრანსპორტის რიცხვის ზრდის ტემპი.

ხალხისა და საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელთაგან მოითხოვენ გადასინჯონ ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესი, გააძლიერონ კონტროლი მტვერგაზსაწმენდი მოწყობილობის შუშაობისადმი და გაუუმჯობესონ მისი ექსპლოატაცია.

უდავოდ დროული იყო გადაწყვეტილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმაში ცალკე კარის — ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კარის შეტანის შესახებ, თქვა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ბუნების დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილემ **ვ. ა. ანიკეევმა.** გეგმის ამ კარის დაკანონებათა დაწესების ძირითადი მიზანია შემცირდეს და საბოლოო ანგარიშით თავიდან იქნეს აცილებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ტრანსპორტის, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მეურნეობის საკითხთან თანახმადვავი პროდუქტების, ხარჯეებისა და ზოგიერთი ფიზიკური ფაქტორის უარყოფითი ზემოქმედება გარემო ბუნებაზე. აგრეთვე უზრუნველყონ ქვეყნის სარესურსო პოტენციალის შენარჩუნება და გადიდება მისი რაციონალური და კომპლექსური გამოყენების საფუძველზე.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. ი. კაკარავამ** თავის გამოსვლაში აღძრა საკითხი, რომ თითოეულ სამინისტროში, უწყებაში, დიდ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოში შეიქმნას ბუნების დაცვის სპეციალური სამსახურები. ამ კეთილშობილური იდეით უნდა განმსჭვალონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები, მთელი ჩვენი ხალხი.

ბუნებისადმი მტაცებლური, მუშტრული დამოკიდებულება, ისეთი დამოკიდებულება, როცა მას მხოლოდ წუთიერი სარგებლობის მიზნით ეჩაბაგებენ და არ იწუხებენ თავს მომავალზე ფიქრით, უკვალოდ როდი ჩაივლის ხოლმე. ბუნება დაუსჯელად არ ტოვებს ტყის უსისტემო ჩეხვას, ღორღის უზომო მოპოვებას, არარაციონალურ ᲛᲔᲬᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ, წყლისა და ატმოსფეროს დაბინძურებას... იგი წინდაუხედავ პატრონს უპასუხებს გრიგალითა და გვალვით, ღვარცოფითა და წყალდიდობით და ხშირად ადამიანებს აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს.

დადგა დრო, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. ბუნების დაცვა, ბუნებაზე ზრუნვა სახელმწიფოს, მთელი საზოგადოებრიობის უპირველესი მოვალეობაა. ამიტომ არის ბუნების დაცვა საკონსტიტუციო მოთხოვნად გამოცხადებული. ამიტომ არის შექმნილი სახელმწიფო დაწესებულებები, რომელთაც ამ სპეციფიკური ფუნქციების შესრულება აკისრიათ. ამიტომ არსებობს ჩვენს ქვეყანაში ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, რომლებსაც მილიონობით აქტივისტი ჰყავთ.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება დიდად არის დამოკიდებული ამ მიმართულებით მეცნიერთა საქმიანობაზე; ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შექმნილია და მოქმედებს 12 სპარობლემო საბჭო, სადაც 100-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი და სპეციალისტი ამუშავებს რეკომენდაციებს ამათუ ამ საკითხებზე.

ნიადაგების ეროზიასთან ბრძოლის ახალ ხერხს იყენებენ უკანასკნელ ხანს იფხაზეთის სპეციალისტები, თქვა იფხაზეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ს. ა. ხაკაჩია** კონფერენციაზე გამოსვლისას. მისი აზრი ის გახლავთ, რომ ნიადაგის ღრმად ხვნას უხამებენ ბალახის თესვას. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ეს ხერხი, მთის ფერდობების ბულდოზერებით დატრესებისაგან განსხვავებით, ზედაპირზე ანარჩენებს ნაყოფიერ ფენას, უზრუნველყოფს მიწის სრულ დაცვას ეროზიისაგან. უახლოეს წლებში გათვალისწინებულია იფხაზეთის მთებში ეროზიისაგან იქნეს დაცული 750 ჰექტარი ფერდობები და გადაეცეს ისინი სასოფლო-სამეურნეო ბოუნვაში. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მცირემიწიანი ავტონომიური რესპუბლიკისათვის.

მდიდარი და მრავალფეროვანია იფხაზეთის ბუნება. მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყეებს უკავია. მაგრამ ძალზე დიდი ზიანი მიაყენა ტყეს არარაციონალურმა ჭრამ. ამიტომ იყო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ დირექტიული ორგანოების გადაწყვეტილებას იფხაზეთის ტყეებში სამრეწველო ჭრის შეწყვეტის შესახებ. გარდა ამისა, იაკრძალა ინერტული მასალის ამოღება ყველა იმ მდინარიდან, რომლებიც შავ ზღვას უერთდება.

ბუნების დაცვის ღონისძიებათა კომპლექსში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია ავრეთვე ატმოსფერული ჰაერის სიწმინდის დაცვის საკითხებს. კონსტრუქციულ ღონისძიებათა განხორციელება ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს საწმენდი ნაგებობებით აღჭურვის მიზნით, ქალაქ სოხუმის ფარგლებიდან მთელ რიგ ავტომეურნეობათა გადატანა, საქალაქეების თხევად სათბობზე გადაყვანა — ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც მომავალში უნდა განხორციელდეს იფხაზეთის — სუბტროპიკული მიწათმოქმედებისა და შესანიშნავი კურორტების მხარის საპაერო აუზის დასაცავად.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ა. ა. ძიძიგურის** გამოსვლის თემა იყო წიაღის დაცვის საკითხები. წიაღისეული სიმდიდრის გონივრული მოხმარება, მისი რაციონალური და სწორი ექსპლოატაცია, მოპოვების პროგრესული მეთოდების გამოყენება, რესპუბლიკის წიაღის დაცვისა და რაციონალური მოხმარების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა უცილობელი შესრულება ხელს შეუწყობს იმას, რომ მიწისქვეშა საკუთრებით სარგებლობის ეადა კიდევ მრავალი ათწლეულით გაიხარდოს.

საქართველო ამიერკავკასიის ერთადერთი რესპუბლიკაა, თქვა მან, სადაც ქვანახშირის საბადოებია. მოპოვების რთული პირობები იწვევს ძვირფასი ნედლეულის დიდ დანაკარგებს. და თუმცა ტყიბულისა და ტყვარჩელის ანთრაციტის საბადოებზე გაბინძურებულია ბინძურის დანაკარგების ნორმები, ეროვნულ ეკონომიკას ეს ამაოდ მაღალია, ისინი ... — საკითხებისადმი სისტემატურად ირღვევა. დანაკარგების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ არ იცავენ ტექნოლოგიურ მოთხოვნებს, ჯეროვნად არ იყენებენ მძლავრი ფენების დამუშავების მოწინავე სისტემებს.

სულ სხვა სურათია მანგანუმის მოპოვებაში. ჭიათურის საბადოს ექსპლოატაცია უკვე დაახლოებით ასი წელია მიმდინარეობს. ამ ბოლო წლებში საბადოში დაინერგა დამუშავების მოწინავე მეთოდები, რაც უზრუნველყოფს მადნის ამოღების საკმაოდ მაღალ პროცენტს და ნაკლებ დანაკარგებს. მაგრამ საშთამაგნო კომბინატს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ კიდევ უფრო მეტად შემცირდეს დანაკარგების პროცენტი. შემდეგ ამხ. ძიძიგურმა, ვრცლად გააანალიზა ფერადი ლითონების, არალითონური სასარგებლო წიაღიისეულის, მარმარილოს მოპოვების მდგომარეობა, ამხლა ნაკლოვანებანი, ექსპლოატაციის დარღვევები, რაც იწვევს სერიოზულ დანაკარგებს, საერთაშორისო სტანდარტებისათვის შეუსაბამობას, ეს კი, თავის მხრივ, ზღუდავს საექსპორტო პროდუქციის, მაგალითად, ქართული მარმარილოს საექსპორტო მიწოდების მოცულობას მაშინ, როდესაც იგი მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს არ ჩამოუვარდება.

დაბინძურებისაგან გარემო ბუნების დაცვის საქმეში ჰიგიენური ზედამხედველობის საკითხებზე გააამახვილა კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა **გ. გ. ლეჟავამ.** რესპუბლიკაში მოქმედებს 31 პუნქტი, სადაც წარმოებს სისტემატური ლაბორატორიული კონტროლი ატმოსფერული ჰაერის გაუუჯეოანებისადმი, თქვა მან. სახელმწიფო ავტონსპექციის ორგანოებთან ერთად ეწყობა ავტომანქანების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება რესპუბლიკის ქალაქებში და ტრასებზე. მიღებული მონაცემების საფუძველზე შეაქვთ კონკრეტული რეკომენდაციები გარემო ბუნების დაბინძურების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის.

რესპუბლიკის სანეპიდსადგურმა ჰიგიენური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით შეიმუშავა რეკომენდაციები თბილისის ბუნებრივი გარემოს გაჯანსაღების მიზნით.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში შემუშავებული ბუნების დამცავი ღონისძიებების პროგრამით დაიწყო თბილისის ფოლადთუჯსამსმელი და საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნების რეკონსტრუქცია. აშენდა ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტიული ქარხნის საწარმოო ჩამდინარე წყლების საწმენდი ნაგებობანი, წარმოებს საქვაბე აგრეგატების ძირეული რეკონსტრუქცია და მტვერსაწმენდი დანადგარების დაყენება ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში. დამტკიცებულია ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის წყალსაბრუნ სისტემაზე სრული გადაყვანის პროექტი.

ხორციელდება სამრეწველო საწარმოთა მავნე ნარჩენებისაგან ატმოსფეროს დაცვის პროგრამა. უკვე ქალაქის ფარგლებს გარეთ არის გადატანილი თბილისის ხუთი საწარმო, ქუთაისის ორი, ბათუმის, სოხუმის, კასპის, რუსთაველის სამ-სამი საწარმო.

ამასთანავე, თქვა ამხ. ლეჟავამ, შეშფოთებას იწვევს სამინისტროების, უწყებების, საწარმოების ზოგიერთი ხელმძღვანელის გულგრილობა დაბინძურებული ატმოსფეროს დაცვის პროგრამის შესრულებისადმი. ეს ... — საკითხებისადმი ... — ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

დიდი და პასუხსაგები ამოცანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა პლენუმზე საერთაშორისო ხაზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. განმარტავენ რა პლენუმის შედეგებს, საინფორმაციო სააგენტოები, პრესა ხაზს უსვამს დიდ წარმატებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა მეათე ხუთწლეულის პირველი სამი წლის მანძილზე, სსრ კავშირის გაზრდილ ეკონომიკურ და თავდაცვით ძლიერებას, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებას, სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული საბჭოთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამის განუხრელ განხორციელებას. პრესა აღნიშნავს, რომ პლენუმმა მოლიანად და ხავსებით მოიწონა ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დასკვნები და დებულებები.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირმა არსებითად წაიწია წინ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მიმართულებით, წერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი". თავის გამოსვლაში, რომელსაც ორმად პრინციპული და კრიტიკული ხასიათი აქვს, ლ. ი. ბრეჟნევმა მოიწონა კიდევ უფრო სრულად დარაზმონ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალები, გამოავლინონ და აამოქმედონ ეკონომიკური ზრდის ახალი რეზერვები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოწმობს, თუ რა მტკიცე ტემპით ვითარდება სსრ კავშირის ეკონომიკა, რა მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო საბჭოთა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურსის მიზანდასახულმა განხორციელებამ, წერს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო". ნელს სსრ კავშირში მოიწევს 235 მილიონი ტონა მარცვლეული. საძეურნეო მშენებლობის წარმატებები განსაკრობეს დიდმა დადებითმა ცვლილებებმაც საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის დარგში.

საბჭოთა კავშირს ჯერ კიდევ არასოდეს არ ჰქონია ისეთი ძლავრი ეკონომიკური პოტენციალი, ისოდენ განვითარებული მრეწველობა, მეცნიერება. ტექნიკა, როგორც ახლა აქვს. აღნიშნავს ამერიკის „იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საინფორმაციო საագენტო. მოსკოვში გამართულ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა რომ მეათე ხუთწლეულის განვლილი სამი წელიწადი კარგი იყო, ბევრი რამის გაკეთება მოხერხდა. ამავე დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაისმა ჯერ კიდევ არსებულ იმ ნაკლოვანებათა აშკარა, პრინციპული კრიტიკა, რომლებიც, კერძოდ, საბჭოთა სოფლის მეურნეობაშია.

პლენუმის შედეგები მოწმობენ, რომ საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის დარგში მოხდა და ხდება დიდი პოზიტიური ძვრები, რომლებიც განპირობებულია წარმატებებით სამეურნეო მშენებლობაში, წერს იტალიური „უნიტა". საბჭოთა ხელმძღვანელმა ლ. ი. ბრეჟნევმა პლენუმზე თავის გამოსვლაში მთლიანად დადებითად შეაფასა სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარების მიმდინარეობა და გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ჯერ კიდევ არსებული პრობლემები, — ასეთი პრობლემები კი არის, და მათ შესახებ პირდაპირ ითქვა პლენუმზე, გადაწყდება.

(საკდესი).

ისტორიული მნიშვნელობის ამოვლენა

დელი, 28 ნოემბერი. (საკდესის კორ.). აქ გაიმართა ინდოეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის მეხუთე წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი მიტინგი. ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების მიერ მოწყობილ დედაქალაქის საზოგადოებრიობის მიტინგში მონაწილეობდა დაახლოებით 5 ათასი კაცი.

საბჭოთა კავშირი ინდოეთის გულწრფელი მეგობარია, თქვა მმართველი ჯანატა პარტიისგან პარლამენტის დეპუტატმა ე. ჯაფრამ. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წლებში, აგრეთვე ინდოეთის ეკონომიკის ქმნადობის პერიოდში სსრ კავშირი ინდოეთს ყოველნაირ მხარდაჭერას უწევდა. ინდოელი ხალხი დიდ მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირს იმისათვის, რომ მან მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სოციალური და ეკონომიკური პროგრესის მიღწევაში. ლ. ი. ბრეჟნევმა უდიდესი პირადი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნების მეგობრობის განტკიცებაში. ლ. ი. ბრეჟნეევის ვიზიტი, ხაზი გაუსვა ე. ჯაფრამ, დიდი-მნიშვნელოვანი ნიშანსეეტი იყო ორმხრივი ურთიერთობის განვითარებაში, უფრო მტკიცე საფუძველი შეუქმნა მას.

ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს, თქვა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების დელის განყოფილების გენერალურმა მდივანმა ჯ. ჯოშმ. ჩვენ განსაკუთრებით ეიფასებთ, რომ სსრ კავშირი მუდამ პირველი ეხმარებოდა ინდოეთს მისთვის ძნელ ღღეებში.

მიტინგის მონაწილეები მხურვალედ მიესალმნენ ორატორებს, ერთხმად გაიძახოდნენ „გუმარჯოს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას." მიტინგი გადაიქცა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მკაფიო მანიფესტაციად.

საჭიროა თანამშრომლობა

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). შეერთებული შტატების საკმაოდ ფრეების თვალსაზრისო წარმომადგენელი გადაჭრით მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან საეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას.

„—ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვეკიდებით გრძელვადიან საეკონომიკურ კავშირურთიერთობას საბჭოთა კავშირთან თანასწორობის, ურთიერთსარგებლობიანობისა და ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს კომპანია „პარამაუნტ ინტერნეშნლ მენეჯმენტ კორპორეიშნის" პრეზიდენტმა ოსტინ პეიჯმა. — ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეიერობის განვითარება ასეთ საფუძველზე ხელს შეუწყობს საერთაშორისო ძაბვების შენელებას. სარგებლობას მოუტანს ორივე სახელმწიფოს. სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ ძლერია იმ ადამიანთა პოზიცია, რომლებიც „ცივი ომის" იდეებით ცხოვრობენ".

29 ნოემბერი იუგოსლავიის ეროვნული დღეა

იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში 29 ნოემბერი დიდი ეროვნული დღესასწაულია. ამ დღეს ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებული ქვეყანა გამოცხადდა ფედერაციულ-სახალხო რესპუბლიკად. სახალხო ხელისუფლების წლებში იუგოსლავმა ხალხმა დიდი წარმატებები მოიპოვა ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მსოფლიო აღიარება მოიპოვა გემთმშენებლობამ, სახე იცვალა. ახალი რაიონებით დამშვენდა რესპუბლიკის დედაქალაქი და სხვა ქალაქები.

იუგოსლავიურმარკანი მედიამენტები და საპარფიუმერიო ნაკეთობანი პოპულარულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირში.

* * *

სურათებზე: იუგოსლავიის დედაქალაქი ბელგრადი. კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სახელობის მოედანი; ეს სურათი კი ქალაქ ლესკოვაცის საპარფიუმერიო ფაბრიკაშია გადაღებული.

საკდესის ფოტოკორონიკა.

მოკლედ

ყოველი ესრიდან

ფაშისტური გამოსდომა

მადრიდი. ფაშისტი არამზადების ჯგუფმა სევილიაში ცეცხლი წაუკიდა ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის შენობას. ხანძრის შედეგად შენობა მთლიანად დაიწვა. იუწყებიან აგრეთვე, რომ „უცნობმა პირებმა ბომბი ჩადეს ესპანეთის კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „მუნდო ობრეროს" შენობაში. მიღებული ღონისძიებების შედეგად მოხერხდა ამ ბომბის გაუვნებლება.

მოლაპარაკებისათვის ლონდონი

ლონდონი, აქ ჩამოვიდა ირლანდიის პრემიერ-მინისტრი ჯ. ლინჩი. იგი მოლაპარაკებას გამართავს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჯ. კალაგენთან ეგრეთწოდებულ ევროპის სავალუტო სისტემაში ირლანდიის შესაძლო მონაწილეობის შესახებ.

ამდიდრებენ მონოპოლიებს

ოტავა, კანადის მთავრობამ ინმარა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც არსებითად ითვალისწინებენ მონოპოლიების გამდიდრებას. როგორც კანადის ფინანსთა მინისტრმა ჟან კრეტიანმა განაცხადა, პარლამენტში მიღებული გადაწყვეტილება ეგრეთწოდებული ფედერალური სამრეწველო გადასახადის 12-დან 9 პროცენტამდე შემცირების შესახებ.

როგორც კანადის პრესა აღნიშნავს, ეს ღონისძიება საშუალებას მისცემს მრავალეროვან მონოპოლიებსა და კორპორაციებს დამატებით ჩაიჯიბონ ასობით მილიონი დოლარი მოგება. (საკდესი).



სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის განცხადება

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გაავრცელა განცხადება ლიბანის დედაქალაქში სიმეხი ეროვნების მძვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მემარჯვენე ქრისტიანი ექსტრემისტების ძიერ დაწყებული სისხლიანი ტერორის გამო.

ჩვენ, ქართველები, ნათქვამია განცხადებაში, დასაბამიდან ვცხოვრობთ ეფეველესი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების მქონე მომეე სომეხი ხალხის მეზობლად. მოავალი საუკუნის მანძილზე ერთად გადაგვიტანია მოავალი განსაცდელი, ძტეოთა შემოსევა და სხვა. ბედუკეთმარითობანი. სწორედ ამიტომ კო შეგვიძლია გულგრილი დავრჩეთ ლიბანში მცხოვრები ჩვენი ძმების ტოკვიდიის მიმართ. ამ ამბავმა განსაკუთრებით აღგვაშფოთა იმის გამოც, რომ მსგავი ტერორისტული აქტები მთლიანად ეწინააღმდეგება ქრისტიანული რწმენის პრინციპებს და, სრულიად უეჭველია, რომ ეს გარეშე ძალების მიერ არის პროვოკაციულად გამოწვეული.

მოუწოდებთ ყველა ქრისტიანს და სხვა მშვიდობიმოყვარე ადამიანებს, რომ პროტესტი განაცხადონ ამ აღმაშფოთებელი მოქმედების წინააღმდეგ.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის, დოქტორის, პასტორ ფილიპე პოტეერის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II წერს, რომ ლიბანში სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ მასობრივი ტერორი, რის შედეგადაც მრავალი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, აღაშფოთებს საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის მორწმუნეთ. ჩვენ მოვითხოვთ, აღნიშნულია მიმართვაში, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ მიიღოს ზომები, რათა დაუყოვნებლივ აღიკვეთოს ტერორისტული აქტები ლიბანში მცხოვრებ სომეხთა მიმართ. (საქინფორმი).

მოძმე სომხეთში

ახალი ჩარხები — წარმოებას

ერევანი საღარავი ჩარხების ქარხანამ დაიწყო ახალი მოდელის ჩარხის პირველი სერიული გამოშვება. ახალი ჩარხები გათვალისწინებულია ხელსაწყოთმშენებელთათვის.

ქარხნის კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს კიდევ ერთი ახალი დაზგა, რომლის საოპერატორო პულტს აქვს ციფრული ინდექსაციის მოწყობილობა.

შეასრულეს სამი წლის დავალება

მიმდინარე წელს ნაყოფიერად შრომობს „ომენბერროლის" ქარხნის კოლექტივი, რომელიც სახალხო მოხმარების პროდუქციას უშვებს. აქ უკვე შესრულეს პროდუქციის ოელიზაციის სამი წლის დავალება. ხუთწლედის დასაწყისიდან გამოშვებულია თითქმის 50,4 მილიონი მანეთის ნაწარმი.

მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ ქარხნის მესამე, მეხუთე და მეექვსე საამქროები.

იშრიალებს ტყე

ბორისის ჩრდილოეთ მხარეს ხუთ ჰექტარზე შენდება ახალი ტყეპარკი. იგი შეემატება რაიონის ტყის ზონას, რომელიც წლითწლობით ფართოვდება. ახალი ტყეები შენდება უმთავრესად მთის ფერდობებზე და ეროზიით დაზიანებულ ადგილებზე. აქ ირგვება კაკალი, ფიჭვი, მუხა და სხვა ჯიშის ხეები.

ეცნობიან შუა საუკუნეების მუსიკას

ძველ ახპატის მონასტერში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა სომხეთის შუა საუკუნეების ხელოვნებას.

ცნობილი მონასტრის კომპლექსის დათვალიერება კარგად შეაესო ადგილობრივმა თვითმქმედმა მხატვართა ნამუშევრებმა და სომხეთის ხეურთმმოძღვრების ძველების დიაპოზიტიური კადრების ჩვენებამ. მონასტრის თაღებქვეშ ძღერდა მაშტოცის, ხორენაცის, ნარეკაცის, კუჩაკის საგუნდო ნაწარმოებები.

საღამოს მონაწილე თუმანიანის რაიონის ორასამდე მშრომელმა დიდი სიამოვნება მიიღო შუა საუკუნეების სომხურ ხელოვნებასთან შეხვედრით.

აშენებენ წყალსადენს

20 კილომეტრი მანძილიდან მიიღებს სასმელ წყალს მეგრინის რაიონული ცენტრი, ეს გაუვანილობა მოსახლეობას წამში 20 ლიტრ წყალს მიაწვდის. ამ წყალსადენის მშენებლობას უკვე შეუდგა „ყაფრქარაანმშენის" ტრესტის მოძრავი მექანიზებული კოლონა.

მშენებლებმა უკვე 4,5 კილომეტრზე გაიყვანეს მილები, შეასრულეს 430 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მათ გადაწყვეტეს წყალსადენის მშენებლობა დაასრულონ ხუთწლედის ბოლოსათვის.

ერევანი. „გედის ტბა" თუმანიანის ქუჩაზე. ცენტრში — ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა.

ვ. სოგბოლევისა და მ. ისაკიანის ფოტო (საკდესის ფოტოკორონიკა).

თბილისში...

1 დეკემბერს იწყება მოჰადრაკე ვაჟთა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატი

ჩვენს საქადრაკო კალენდარში არის ტურნირი, რომელიც თავისებურად აჯამებს უძლიერესი ოდოსტატი და ოსტატი ეაკების წლიურ სამოღვაწარს, თუ გნებავთ, „ნიშნებსაც უწერს" მათ. ეს არის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატი, რომლის მთავარი ტურნირი 1 დეკემბერს იწყება თბილისში.

საკავშირო პირველობა ახალი, ორიგინალური ფორმულით 1973 წლიდან ეწყობა და იგი სამი ეტაპისაგან შედგება: ზაფხულში შვეიცარიული სისტემით იმართება მასობრივი ტურნირი 64 დიდოსტატის, ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის მონაწილეობით. მისი გაგრძელებაა საკავშირო ჩემპიონატი პირველი ლიგის მოჰადრაკეთა შორის, რასაც შემდეგ მოსდევს საკავშირო ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის მოჰადრაკეთა შორის. ამასთან, უმაღლეს ლიგაში მოხვედრილი 18 მოჰადრაკისაგან პირველი 9 ინარჩენებს გაისაღ ასეთივე შეჯიბრებაში გამოსვლის უფლებას, მომდევნო 7 გადადის პირველ ლიგაში, უკანასკნელ ორს კი ეს უფლებაც არ ეხიჭება. მათ ყველაფერი საწყისი ეტაპიდან, მასობრივი ტურნირიდან უნდა დაიწყონ. ეს ფორმულა დიდ დაძაბულობას ქმნის, ამიტომ შეჯიბრება უმაღლეს ლიგაში, ჩვეულებრივ უშელავთოდ ძიმდინარეობს.

ვინ გამოვა თბილისის ასპარეზობაში? რა თქმა უნდა, ყველა ტურნირს დაამშვენებდა მსოფლიოს ჩემპიონის მონაწილეობა, მაგრამ ა. კარპოვი, საკუთარი გადაწყვეტილებით, მეტად დაღლილია და გაზაფხულამდე აოსად არ ითამაშებს. ასეთი უდავო დანაკლისის მიუხედავად, ასპარეზობის შემადგენლობა საკმაოდ ძლიერია. შარშანდელი შედეგების თანახმად, უმაღლეს ლიგაში დარჩნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ბ. გულკო (მოსკოვი) და ი. დორფმანი (ლვოვი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი (მოსკოვი) და მ. ტალი (რიგა), დიდოსტატები ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი), გ. კუზმინი (ეროშილოვგრადი), ი. რომანიშინი (ლვოვი), ე. გელერი (მოსკოვის ოლქი) და ვ. ბაგიროვი (ბაქო).

ამ 9 ცნობილ დიდოსტატს ზაფხულში შეუერთდა ერთი, ცოტა არ იყოს, ორიგინალური პარტნიორი: 15 წლის ბაქოელი ყმაწვილი გარი კასპაროვი, რომელმაც დაუგავეპილის მასობრივ ტურნირში, სადაც არაერთი ცნობილი დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა, პირდაპირ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი კასპაროვს მეტად ნაბეჭერ მოუდრეკელ მეტოქეს ხედავს. გასაოცარი მეხსიერებით, უკვე საკმაოდ სერიოზული სადებიუტო მომზადებით 15 წლის ყმაწვილის მონაწილეობა უმაღლეს ლიგაში თავისთავად უმაგალითო ამბავია. კასპაროვს ტურნირისათვის ამზადებდა ცნობილი ოსტატი ა. ნიჯატინი.

ოქტომბერში აშხაბადში გამართული პირველი ლიგის მოჰადრაკეთა ასპარეზობის შემდეგ უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ დიდოსტატები ვ. ცეშკოვსკი (ოდესა), ვ. ტუმკოვი (ოდესა), ა. ბელიავსკი, ა. მიხალჩიშინი (ორენ — ლვოვიდან), ი. რაზუვაევი (ძოსკოვი) და საერთაშორისო ოსტატი გ. ტიმოშენკო (ნოვოსიბირსკი), დარჩა ორი ვაკანტური ადგილი, რომლებიც დაეთმობა დიდოსტატებს ს. მაკარიჩევსა (Ეოსკოვი), და თ. გიორგაძეს (თბილისი). რაც უმაღლესი ლიგა არსებობს, მასში ქართველ მოჰადრაკეს არ უთამაშია. შეიძლება ითქვას, რომ თ. გიორგაძე, რომელსაც აქვს პირველ ლიგაში თამაშის გამოცდილება და ამას წინათ მონაწილეობდა ჰალეს საერთაშორისო ტურნირში, თბილისში, უძლიერეს მოჰადრაკეებთან ბრძოლაში, მთელ თავის შესაძლებლობებს გამოავლენს.

მიმიმხილველები ტრადიციულად გამოყოფენ ხოლმე იმ მოხილველთა ჯგუფს, რომლებიც, მათი აზრით, ჩემპიონობისათვის იბრძოლებენ. ჩვენ გვინდა დღეს ამ ტრადიციას გადაეუხვიოთ. რა თქმა უნდა, თბილისის ასპარეზობის ყველა მონაწილის შესაძლებლობა თანაბარი არ არის და არც შეიძლება იყოს, მაგრამ მოსალოდნელია მრავალნაკადი დიდოსტატების საინტერესო და უშეღავთო ბრძოლა ჩვენი ბაბრაკის „ხეალინდელ დღესთან" — ახალგაზრდა ნიეიერ თაობასთან.

მაშ ასე, თბილისში თამაშობს 16 დიდოსტატი და 2 ოსტატი.

გ. ბამრეკელი.

ᲫᲘᲣᲓᲝ

ბ. გოგიჩაშვილი — ევროპის ჩემპიონი

უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდა ძიუდოისტებს შორის. საბჭოთა ათლეტებმა 5 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. თავი ისახელა ბაკურთელის სპორტსმენმა ბორის გოგიჩაშვილმა, რომელმაც 95 კგ წონითს კატეგორიაში ყველას აჯობა, ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და ცხადია, ოქროს მედალსაც დაეუფლა.

ᲥᲐᲠᲝᲑᲐᲢᲘᲙᲐ

საპრიზო ადგილებზე

ბრონსკში გამართულ აკრობატთა საკავშირო ჩემპიონატში თავი ისახელეს საქართველოს სპორტსმენებმა. მათ საერთოგუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს. რაც შეეხება პირად ასპარეზობას, საქართველოს ქალთა სამეულმა (ნ. მნათობიშვილი, მ. კიკალეშვილი, მ. შილაკაძე), ვაჟთა წყვილმა (დ. გაგოშვილი, ზ. ნიკოლაიშვილი) და ვაჟთა ოთხეულმა (ჯ. სუთიძე, ვ. ოურქაძე, ა. აროთინიანი, გ. კაკაშვილი) მეორე საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

მოკლედ

ტანვარჯიში. ქალაქ ტურკუში (ფინეთი) გამართულ საერთაშორისო ტურნირში მრავალქიდლთა შორის პირველობა არავის დაუთმო ლარისა გონჩენკომ (გომელი). მან 37,70 ქულა დააგროვა. ვაჟთა შორის წარმატება მოიპოვა ლენინგრადელმა ალბერტ ანისიმოვმა — 57,30 ქულა.

კალათბურთი. სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის პიველი წრის ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის ოლქის „სპარტაკი" და რიგის ტტტ. ამ შეხვედრამდე სპარტაკელები დაუმარცხებლად იბრძოდნენ, რიგელებს კი ერთი წაგება ჰქონდათ. ეს პრინციპული ძაბრი მოიგეს რიგელებმა ანგარიშით 55:54. ახლა ტურნირს 10-10 ქულით ლიდერობენ „სპარტაკი" და ტტტ. მეორე წრის მატჩები დაიწყება 19 დეკემბერს დნეპროპეტროვსკსა და სევრდლოვსკში.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ —

29 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.00 — „ვრემია" (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა (ფირადი), 17.30 — განცხადებები, 17.35 — შვეისწავლოთ ვერმანული ენა, 18.05 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი კვირა დღე" (ფერადი), 19.10 — სახალხო კონტროლის ეკრანი, 19.40 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „არის ვოლგაზე ფრიალო კლდე" (ფერადი), 20.10—მწერლის გახსენება — აკაკი ბელიაშვილი. 21.00 — „მომბე" (ფერადი), 21.30 — თბილისის საკონცერტო დარბაზებში, 22.00 — „ვრემია"—(მოსკოვიდან), 22.40 — სპორტული მიმოხილვა.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

1979 წელს ინსტიტუტში შემსვლელთათვის იწყობა მოსამზადებელი კურსები. კურსებზე მსმენელად ჩაირიცხებიან მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები, რომლებსაც სურთ მიიღონ უმაღლესი ზოოტექნიკური და საექიმოვეტერინარო განათლება, აქვთ საწარმოო მუშაობის სტაჟი არანაკლებ ერთი წლისა.

კურსები იმუშავებს სამეურნეო ანგარიშზე.

მეცადინეობა დაიწყება 1979 წლის 15 იანვრიდან და გაგრძელდება 15 ივლისამდე.

განცხადებები კურსებზე ჩარიცხვის შესახებ უნდა შემოიტანოთ ინსტიტუტის რექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ;
2. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები;
3. ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იქნეს შრომადღეების საკალდებულო მინიმუმი და გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა წლების მიხედვით; საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკის ამონაწერთან ერთად წარმოადგენენ ცნობას, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება დღეების მიხედვით.
4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286).
5. 4 ფოტოსურათი — დამოწმებული (ზომა 3X4 სმ).

კურსებზე შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 1979 წლის 10 იანვრამდე, ყოველდღე გარდა კვირა დღისა, 10 საათიდან 16 საათამდე.

კურსები იმუშავებს ინსტიტუტის სასწავლო ბაზაზე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის რექტორატში.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝᲜᲐ: **თბილისი, კრწანისი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი. ავტობუსი № 23.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 79 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აჭარის ასსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ᲥᲔᲜᲘᲐ ᲔᲠᲛᲘᲚᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ახლობლებს.

საქართველოს სსრ უმაღლეული და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი იუწყებიან, რომ გარდაცვალა არმენოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲨᲘᲚᲐᲙᲐᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲥᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03 99-03-09, პ/მდივანს — 99-73-80 ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული —99-87-61 პროპაგანდის — 99-22-93 მრეწველობის — 93-20-34 სოფლის მეურნეობის — 99-52 46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24 ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 13368

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲢᲐᲛᲑᲐ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.